

SCHOMBURG GmbH & Co. KG  
 Aquafinstraße 2-8  
 D-32760 Detmold (Germany)  
 phone +49-5231-953-00  
 fax +49-5231-953-108  
 email export@schomburg.de  
 www.schomburg.com




ტექნიკური მონაცემები

# AQUAFIN®-RS300

Art.-No 2 04208

სწრაფად შემკვრელი ჰიბრიდული წყალგაუმტარი მემბრანა

<b>CE</b>	
SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2-8 D-32760 Detmold 14 2 04208	
EN 14891 <b>AQUAFIN-RS300</b> Liquid-applied water impermeable cement-based product for use beneath ceramic tiling in external areas	
EN 14891: CM	
Initial tensile adhesion strength:	≥ 0.5 N/mm <sup>2</sup>
Tensile adhesion strength after water contact:	≥ 0.5 N/mm <sup>2</sup>
after heat aging:	≥ 0.5 N/mm <sup>2</sup>
after freeze/thaw cycles:	≥ 0.5 N/mm <sup>2</sup>
after contact with lime water:	≥ 0.5 N/mm <sup>2</sup>
Water impermeability:	no water penetration
Crack bridging:	≥ 0.75 mm



**გამოყენების არეალი:**

თავის სწრაფი რეაქციის შედეგად, AQUAFIN-RS300 ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მასალად შენობების და კაველ-მეტლახის და კრამიტის ქვეშ წყალგაუმტარობის მისაღწევად. ამას გარდა, კრიტიკულ ვითარებებში, როგორცაა დაბალი ტემპერატურა ან ძლიერი ნესტი, ეს პროდუქტი შეგიძლიათ უპრობლემოდ გამოიყენოთ, ისეთ სივრცეებში, მაგალითად ფართი განთავსებული მიწის ქვეშ, რომელიც მწვანად ნიადაგება.

**შენობების წყალგაუმტარობა:**

AQUAFIN-RS300 შეგიძლიათ გამოიყენოთ კედლების და იატაკის წყლისგან დასაცავად, ბეტონით, ქვით ან აგურით ახალ აშენებულ ან ძველ, სარემონტო შენობებში შემდეგი პირობებით:

- მიწის ტენიანობა/წყლის ჟონვის დონე უნდა ჯდებოდეს სტანდარტში DIN 18195 ნაწილი 4
- ზედაპირზე დაგუბებული და ტენიან ოთახებში მდგარი წყლის დონე უნდა ჯდებოდეს სტანდარტში DIN 18195 ნაწილი 5
- დაგუბებული, ჟონვანი წყლის დონე უნდა ჯდებოდეს სტანდარტში DIN 18195 ნაწილი 6
- მაღალი წნევის შემთხვევაში, წყლის დონე უნდა ჯდებოდეს სტანდარტში DIN 18195 ნაწილი 6 (შესაბამისი მშენებლობის შემთხვევაში)
- პოზიტიური წყლის წნევის დონე კონტეინერებში ან საცურაო აუზებში უნდა ჯდებოდეს სტანდარტში DIN 18195 ნაწილი 7
- ჰორიზონტალური წყალგაუმტარობა როგორც კედლის შიგნით და გარეთ კაპილარული სისველის წინააღმდეგ
- კომბინირებული წყალგაუმტარობა საძირკვლების გადასვლის კუთხეებში
- ასევე გამოიყენება დამცავი და პერიმეტრული იზოლირებისთვის აუზების სრული წყალგაუმტარობის მისაღწევად აცვლებელი ჩატარდეს წყლის ქიმიური ანალიზი DIN 4030 სტანდარტის მიხედვით.

**მახასიათებლები:**

- გამოიყენება როგორც მონოლითურ ასევე კონსტრუქციული ნაკერების მქონე ბეტონის წყალგაუმტარობის მისაღწევად
- მრავალ-ფუნქციური
- ზნარების მაღალ ეფექტური ჰიდროიზოლაცია
- ახასიათებს თვით-მაკავშირებელი ჰიდრავლიკური შრობა
- რეაქტიული შრობის ეფექტი
- მინიმალური დანაკარგები შრობისას
- 3 საათის შემდეგ რეზისტენტულია წვიმაზე და ფეხით სიარულზე
- ორთქლგამტარი, წყალგაუმტარი, რეზისტენტულია ულტრაიისფერი სხივების მიმართ
- რეზისტენტულია მოყინვის საწინააღმდეგო მარილების მიმართ
- რეზისტენტულია მაღალი წნევის მიმართ
- მუშაობს ყველა გავრცელებული სახეობის სამშენებლო სუბსტრატთან (მასალის ქვედა შრე)
- სწრაფი და მარტივი გამოყენების მეთოდი
- შეგიძლიათ წაუსვათ ჯაგრისით, შესხურების სახით ან ნიჰბით
- გამხსნელების გარეშე
- კარგად მუშაობს როგორც ნამიან, ისე ძალიან ნესტიან სუბსტრატებთან
- აკმაყოფილებს წყალგაუმტარობის სტანდარტს DIN 18195 (ნაწილი 2, ცხრილი 7 და 8)
- შემოწმებულია ბეტონის მიმართ აგრესიული მიერალების მედეგობაზე DIN 4030 სტანდარტის მიხედვით
- შემოწმებულია უარყოფითი ჰიდროსტატიული წნევის მიმართ

# AQUAFIN®-RS300

## წყალგაუმტარობა კაფელ-მეტლახის და კრამიტის ქვეშ:

AQUAFIN-RS300 შეგიძლიათ გამოიყენოთ ეფექტური და გარანტირებული წყალგაუმტარობისთვის კაფელ-მეტლახის და კრამიტის ქვეშ, რომელიც მუდმივ კონტაქტშია დაგუბებულ წყალთან ან წყლის ჭავლთან, მაგ. საცხოვრებელი სახლის აბაზანებში და სამზარეულოებში, კერძო და საჯარო სამრეცხაოებში, აივნებზე და ტერასებზე, საცურაო აუზებში და მის გარშემო. კედლის და იატაკის გადაბმის წეტილებში გამოიყენეთ ASO-Joint-Tape-2000 ან ASO-Joint-Tape-2000-S წყალთან კონტაქტის სიხშირის მიხედვით.

AQUAFIN-RS300 შეესაბამება A და B სისველის სტანდარტს DIN 18195 ის მიხედვით და A0 და B0 სისველის ZDB ტექნიკური მონაცემების მიხედვით მიხედვით.

წყალგაუმტარობის ძალა შემოწმებულია, ASO წყალგამძლე ლენტებთან ერთად, მინერალ-ნარევი წყალგამძლე დულაბების (MD) სატესტო პრინციპების მიხედვით და კაფელ-მეტლახის და კრამიტის ქვეშ წყალგაუმტარობის ძალა 15 მ წნევამდე წყლის შემთხვევაში 6 მეტრამდე სიღრმეზე დაყენების შემთხვევაში.

## ტექნიკური მონაცემები:

ბაზა: თხევადი კომპონენტი - პოლიმერული ფხვიერი კომპონენტი - სპეციალური ცემენტი, სხვადასხვა ფუნქციის მინარევები

შერევა: 1 – 1 ზე წონის მიხედვით

შეფუთვა: 20 კგ კომბინირებული პროდუქტი - 10 კგ გახსნილი სათლი 2ც 5 კგ პარკი

10 კგ კომბინირებული პროდუქტი - 5 კგ სათლი, 5 კგ პარკი

ფერი: თხევადი კომპონენტი - თეთრი ფხვიერი კომპონენტი - ნაცრისფერი

სიმკვრივე: დაახლ. 1.27 გ/სმ<sup>3</sup>

შესქვლების დრო: დაახლ. 45 წუთი +20° C

მეორე ფენა წაუსვით: დაახლ. 2-4 საათის შემდეგ

გამოყენების ტემპერატურა: +5° C დან +35° C

ჭიმვადი შეწებების ძალა

DIN EN 1542 მიხედვით: > 1.0 N/მმ<sup>2</sup> ჭიმვადი გამძლეობა

DIN 53504 მიხედვით: დაახლ. 1.0 N/მმ<sup>2</sup> +23 C ზე

წელვადობა DIN 53504

მიხედვით: დაახლ. 85% +23° C ზე ალადგენს 0.4 მმ ბზარებს 24 საათზე მეტით DIN

14879-6 მიხედვით: შემოწმებულია PG MDS და AIV ტიპის სამშენებლო

წყალგაუმტარობის ტესტი: შემოწმებულია უარყოფითი ჰიდროსტატიკური

წნევის წინაღობა: 1.5 ერთეულზე ორთქლ გამტარიანობა

μ ფაქტორით 2 მმ სისქეზე: დაახლ. 1100

Sd მნიშვნელობა 2 მმ სისქეზე: დაახლ. 2.5 მ კონდიციები/მასალის მოხმარება/შშრალი მასალის სისქე მიწის ტენიანობა/დაუგუბებელი

ჟონვადი წყალი: მინ. 3.0 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2 მმ

წნევის ქვეშ არ მყოფი წყალი: მინ. 3.0 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2 მმ დაგუბებული ჟონვადი წყალი/

წნევის ქვეშ მყოფი წყალი: მინ. 3.75 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2.5 მმ

WTA საინფორმაციო ფურცლის „სამშენებლო წყალგაუმტარობა მიწასთან კონტაქტის მქონე სამშენებლო კომპონენტების“ მიხედვით:

მიწის ტენიანობა/დაუგუბებელი ჟონვადი წყალი: მინ. 3.0 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2 მმ

წნევის ქვეშ არ მყოფი წყალი: მინ. 4.5 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 3 მმ დაგუბებული ჟონვადი წყალი

წნევის ქვეშ მყოფი წყალი: მინ. 4.5 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 3 მმ

წყლისგან დაცვა სტანდარტ DIN 18195 ნაწილი 7 ის მიხედვით:

მოპირკეთებული ზედაპირის გარეშე: მინ. 3.0 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2 მმ

კაფელ/მეტლახის მქონე ზედაპირი: მინ. 3.0 კგ/მ<sup>2</sup> დაახლ. 2 მმ

# AQUAFIN®-RS300

წაუსვით 1.1 მმ სისქის სველი მასალა, რომლის სისქეც გაშრობის შემდეგ იქნება 1 მმ.

გაითვალისწინეთ დამატებითი მასალის ხარჯი უსწორმასწორო სუბსტრატის შემთხვევაში.

+23 გრადუსზე და 50% ნესტში: უძლებს წვიმას წასმიდან 3 საათის შემდეგ, თუმცა მოარიდეთ დამდგარი წყალი უძლებს წნევის ქვეშ მყოფ წყალს დაახლ. 3 დღის შემდეგ შეგიძლიათ კაფელ/მეტლახის და კრამიტის დაგება დაახლ. 6 საათის შემდეგ

შენახვის პირობები: ფხვიერი კომპონენტი - მშრალ და გრილ ადგილზე 6 თვე  
თეხვადი კომპონენტი - ყინვისგან დაცულ ადგილზე ორიგინალ შეფუთვაში 6 თვე.  
გახსნილი მასალა გამოიყენეთ დაუყოვნებლივ გაწმენდა: გამოყენების შემდეგ ხელსაწყოების გაწმენდა შეგიძლიათ უბრალო წყლით. მიმხმარი მასალა კი დაარბილეთ AQUAFIN-Cleanser - ით და შემდეგ გაწმინდეთ.

სისტემური კომპონენტი	სხველის კლასიფიკაცია		
	A, A0	B (მოიცავს A და A0 ს)	სამშენებლო წყალგაუმტარიობა
ASO-Joint-Tape-2000	x	-	-
ASO-Joint-Tape-2000-S	x	x	x
ASO-Joint-Tape-2000-corners, [90°, internal/external]	x	-	-
ASO-Joint-Tape-2000-S-corners, [90°, internal/external]	x	x	x
ASO-Joint-Tape-2000-T-pieces, cross pieces	x	x	x
ASO-Joint-Sleeve-Floor/Wall	x	x	x
UNIFIX-S3	x	x	-
UNIFIX-2K	x	x	-
UNIFIX-2K/6	x	x	-
IIGHFLEX	x	x	-
MONOFLEX-XL	x	x	-
MONOFLEX-FB	x	x	-
ASODUREK98-Floor/Wall	x	x	-
ASODUR-Design	x	x	-
SOLOFLEX	x	x	-
AK7P	x	x	-
CRISTALLIT-flex	x	-	-
SOLOFLEX-white modified with UNIFLEX-B	x	x	-
CRISTALLIT-MULTHflex	x	x	-
UNIFIX-S3-FAST	x	-	-
SOLOFLEX-FAST	x	-	-

# AQUAFIN®-RS300

## სუბსტრატის დამზადება:

სუბსტრატი უნდა იყოს გამძლე, უმეტესად სწორი, ღია ფორმით და კომპაქტური ზედაპირით. ზედაპირზე არ უნდა იყოს ქვიშის „ჯიბები“, ღრმულები, განიერი ბზარები და შვერილები, მტვერი და ისეთი მასალა რაც, ხელს უშლის შეწყობას, მათ შორის ზეთი, საღებავი, არამყარი ნაწილაკები და ა.შ. კრამიტის ან მეტლახის დაგების შემთხვევაში იხელმძღვანელებთ DIN 18157 სტანდარტის ნაწილი 1 ს მიხედვით.

ვარგისი სუბსტრატებია დახურული სახსრების მქონე ბეტონი, მობათქამებული ზედაპირები PII და PIII, ქვის ან აგურის ზედაპირიანი სუბსტრატები, ცემენტოვანი დულაბები, IC10 და IC15 სიმტკიცის მქონე დაგებული ასფალტი, წყალგაუმტარი თაბაშირ-მუყაო და თაბაშირის ზედაპირი. საპირკველის ბეტონს უნდა მოშორდეს კუთხეებში და გვერდებზე არსებული შვერილები. 5 მმ-ზე მეტი ბზარები აუცილებლად ამოავსეთ ASOCRET-M30 ან SOLOCRET-15 ცემენტის გამოყენებით. გამოყენების წინ სუბსტრატები აუცილებლად დაატენიანეთ. ძალიან ღრმა ფორების გამოსასწორებლად გამოიყენეთ ASO-Unigrund-GE ან ASO-Unigrund-K ან თაბაშირ-მუყაოს სუბსტრატი უკეთესი შედეგების მისაღწევად.

სუბსტრატში შეღწევა უნდა მოხდეს მინიმუმ 5 სმ-იანი სისქის თხელზედაპირიანი შვერილებით და ისეთი მასალით, რომელიც კარგად შეერთდება მემბრანასთან. ასეთი მასალებია უჟანგავი მეტალი, ბრინჯაო ან PVC-U. ვიწრო შვერილების შემთხვევაში (> 30 მმ < 50 მმ) ჩვენ გირჩევთ ASODUR-EK98-wall-ის გამოყენებას.

აუცილებლად გამოირიცხეთ ტენიან სუბსტრატში გვერდითა ან საპირისპირო მხრიდან შეღწევა. გამოიყენეთ AQUAFIN-1K გვერდითა მხრიდან შეღწევის შემთხვევაში სუბსტრატის მხრიდან წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად. გამოიყენეთ 1 ან 2 ფენა, სისველის ხარისხის მიხედვით. მიწის სისველის შემთხვევაში გამოიყენეთ AQUAFIN-1K-ის 1.75 კგ/მ<sup>2</sup>, ხოლო დამდგარი ჟონვადი წყლის შემთხვევაში კი 3.5 კგ/მ<sup>2</sup>. ბეტონის კომპონენტების შემთხვევაში, საპირისპირო მხრიდან ნესტისგან დასაცავად შეგიძლიათ გამოიყენოთ ASODUR-SG2/SG2-thix (600-100 გ/მ<sup>2</sup>).

AQUAFIN-RS300 ასევე გამოიყენება როგორც მაკავშირებელი საშუალება ძველ, ბიტუმზე ბაზირებულ მემბრანების შემთხვევაში.

## ნაწარმის გამოყენება:

AQUAFIN-RS300 გამოყენების წინ სუბსტრატი აუცილებლად დანამთ. ასევე გაასწორეთ ფოროვანი და ქვიშიანი ზედაპირი ASO-Unigrund-ის გამოყენებით. თხევადი კომპონენტის 50-60% ჩაასხით ამრევი და შეურიეთ ფხვიერი კომპონენტი სანამ არ მიიღებთ ერთიანი კონსისტენციის მასალას. ამის შემდეგ დაამატეთ დარჩენილი თხევადი კომპონენტი და ისევე მოურიეთ. გამოიყენეთ მექანიკური შემრევი (დაახლ. 500-700 rpm სიმძლავრით) და აურიეთ 2-3 წუთი. გააჩერეთ დაახლ. 5 წუთი და აურიეთ კიდევ ერთხელ.

AQUAFIN-RS300 შეგიძლიათ წაუსვათ ნიჩბით ან ჯაგრისით მინიმუმ 2 მრე. ფოროვანი ზედაპირის გარეშე. მეორე და შემდეგი შრეები შეგიძლიათ წაუსვათ პირველი (ან წინა) შრის გამაგრების შემდეგ (დაახ. 2-4 საათის შემდეგ). სწორი ზედაპირის მიღება შესაძლებელია 4 დან 6 მმ მდე ზომის ნიჩბით გასწორების შემდეგ. ერთ წასმაზე 3 კგ/მ<sup>2</sup> ზე მეტი მასალის გამოყენებას მოერიდეთ, რათა არ გაჩნდეს ბზარები.

AQUAFIN-RS300 წასმა ასევე შესაძლებელია სპრეის სახით HighPump M8 (Peristaltic pump), HighPump Small ან HighPump Pictor ხელსაწყოების გამოყენებით. მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ საიტზე HTG HIGH TECH Germany, GmbH, Berlin – [www.hightechspray.de](http://www.hightechspray.de).

სპრეის სახით გამოყენების შემთხვევაში AQUAFIN-RS300 სთან შეიძლება წყლის შერევა მაქსიმუმ 0.15 ლ / 10 კგზე, გამოყენებული ხელსაწყო მიხედვით.

# AQUAFIN®-RS300

მომრავი და შემართებული სახსრების წყლისგან დასაცავად, რეკომენდირებულია AQUAFIN-RS300 ის წასმის შემდეგ ASO-Joint-Tape ის შესაბამისი ვერსიის გამოყენება, სისველის ხარისხის შესაბამისად. გამოიყენეთ ASO-Joint-Tape-2000 კუთხეებ (90° შიდა/გარე), ASO-Joint-Tape-2000-T ფორმის, ASO-Joint-Tape-2000 ჯვარედინი და ASO-Joint-Sleeve სპეციალურად კუთხეებისთვის, სიღმეებისთვის და გადაბმებისთვის. 4-6 მმ-იანი სამშენებლო ნიჟბის გამოყენებით წაუსვით AQUAFIN-RS300 მინიმუმ 2 სმით უფრო სქლად ვიდრე ASO-Joint-Tape ლენტის.

ახალი წასმული AQUAFIN-RS300 გადააკარით ლენტა ცილინდრის ან სამშენებლო ნიჟბის გამოყენებით და გამოიყენეთ წნევა, რათა მოხდეს ამ ორი მასალის საფუძვლიანი შეერთება. არ შეიძლება ASO-Joint-Tape ქვეშ წყლის გუბის ან წვეთების დატოვება. წყალგაუმტარი ლენტები გადაბმის წერტილებში ერთმანეთზე გადააკარით მინიმუმ 5 სმით. აუცილებლად მოერიდეთ ნაკეცების გაჩენას ლენტის ზედაპირზე.

კაფელ/მეტლახის დაგების შემთხვევაში წებოდ შეგიძლიათ გამოიყენოთ ზემოთ ნაჩვენებ ცხრილში არსებული სისტემური კომპონენტებიდან ერთ-ერთი. კაფელ/მეტლახის დაგების დროს ზედაპირი უნდა იყოს სრულად მშრალი და გამაგრებული. ASO-Joint-Tape ლენტის ალტერნატივად შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ AQUAFIN-1K გადაბმის წერტილებსა და კუთხეებში.

დრენაჟები და დამცავი დაფები სტრუქტურული კომპონენტებით, მიწასთან კონტაქტში: ამინდის ზეგავლენისგან და მექანიკური ზიანისგან წყალგამძლე მეშრანა აუცილებლად უნდა დაიცვათ სტანდარტ DIN 18195 ნაწილი 10-ის მიხედვით. დამცავი დაფების დამონტაჟება შეიძლება მასალის სრული გაშრობის და გამაგრების შემდეგ.

დრენაჟის და დამცავი დაფები შეგიძლიათ დაამუშავოთ COMBIDIC-1K გამოყენებით, ხოლო პერიმეტრის ინსულირება კი შეგიძლიათ COMBIDIC-2K ნაწარმით. ალტერნატიულად დამცავი შრეები შეიძლება შეერთდეს AQUAFIN-RS300 იან ზედაპირთანაც. ამ შემთხვევაში ფხვიერი კომპონენტი უნდა შეერიოს თხევადი კომპონენტის 50-60% ს პლასტიკური კონსისტენციის მიღებით და წაისვას შესაბამისი სამშენებლო ნიჟბის და მეთოდის გამოყენებით. დრენაჟის ინსტალაცია ხდება სტანდარტ DIN 4095 ის მიხედვით.

## რჩევები:

- დაიცავით ადგილები AQUAFIN-RS300 კონაქტისგან, სადაც არ აპირებთ ამ ნაწარმის გამოყენებას

- გაშრობის დროს მოარიდეთ ზედაპირს წყალი. წყლის მოხვედრის შემთხვევაში ყინვის დროს შეიძლება მოხდეს სუბსტრატის დასკდომა.

- მუშაობის პროცესში შეძლებისდაგვარად მოარიდეთ ზედაპირი მზის სხივებს.

- მაღალი პოლიმერის შემცველობის გამო ზედაპირი შეიძლება გახდეს ოდნავ წებვადი მაღალ ტემპერატურებში. ამ შემთხვევაში, ზედაპირის გირჩევთ წყლით გაწმენდას გაშრობის შემდეგ

- მაღალი ნესტის და ვენტილაციის არ მქონე ოთახებში ტემპერატურა შეიძლება დაეცეს დაბლა, რაც გამოიწვევს ნაშს. ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი გამანიაველები. ასევე მოარიდეთ ზედაპირს ძლიერი და თბილი ნიავი

- კონტენერების და ავზების წყალგაუმტარობის შემთხვევაში ძლიერი დინებების და მეჩხერი წყლის დროს AQUAFIN-RS300 წასმული ზედაპირმა შეიძლება განიცადოს ეროზია. ეს განსაკუთრებით მოსალოდნელია მაღალი (+25 C ზე) მეტი ტემპერატურის შემთხვევაში. ამიტომ ჩვენ გირჩევთ სანამ გადაწყვეტთ ნაწარმის გამოყენებას შეაფასეთ რამდენად შესაბამეა AQUAFIN-RS300 მოცემულ პირობებს. თუ საჭიროა, AQUAFIN-RS300 დაფარეთ მეტლახით ან კრამიტით

- როგორც ზედაპირის დამცავი, AQUAFIN-RS300 არ შეიძლება გახდეს პირდაპირი ან წერტილოვანი დატვირთვის ობიექტი